

ვითების გათამაშება - მოიგე საგზური კოპენჰაგენში ეროვნული ნაკრების თამაშზე

## გათამაშების პირობები:

### გათამაშების პერიოდი:

10.04.2019-დან 26.05.2019-ის ჩათვლით.

### გათამაშებაში მონაწილე ბარათის ტიპი:

საქართველოში ემიტირებული მასტერქარდისა და ვიზას ყველა ტიპის ბარათი, რომლიდანაც განხორციელდება თანხის გადარიცხვა საქართველოში ემიტირებული მასტერქარდისა და ვიზას ყველა ტიპის ბარათზე, მობილური ტელეფონის ნომრის ან ელექტრონული ფოსტის მისამართის მითითებით, ვებ გვერდის [www.hub.vtb.ge](http://www.hub.vtb.ge) მეშვეობით.

### გათამაშებაში მონაწილეობას ვერ მიიღებს:

- ბარათი, რომლის მფლობელია 18 წლამდე ასაკის ფიზიკური პირი
- ბარათი, რომლის მფლობელია არარეზიდენტი ფიზიკური პირი
- საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული პირები, რომლებსაც ეკრძალებათ გათამაშებაში მონაწილეობის მიღება.
- ბარათი, რომლის მფლობელია იურიდიული პირი.
- American Express ბარათი.

### მიმღების ტელეფონის ნომრის ან ელ-ფოსტის მითითებით, ბარათიდან ბარათზე გადარიცხვისას ქულების მინიჭების წესი:

- ბარათიდან ბარათზე გადარიცხვისას, მას შემდეგ, რაც მიმღების ბარათზე ჩაირიცხება თანხა, თითოეულ ტრანზაქციას ენიჭება 1 ქულა.
- თუ ბარათიდან ბარათზე გადარიცხვის შემდეგ, თანხის მიმღები ბარათიდან ასევე მოხდება თანხის გადარიცხვა ამავე მომსახურების გამოყენებით, მაშინ თანხის გადამრიცხავ ბარათს მიენიჭება დამატებითი 1 ქულა.
- თუ მიმღებ ბარათზე თანხის ჩარიცხვა მოხდება სხვადასხვა ბარათიდან, დამატებითი ქულები დაერიცხება მხოლოდ იმ ბარათს, რომლიდანაც პირველად მოხდება თანხის ჩარიცხვა მიმღებ ბარათზე.

### გამარჯვებულის გამოვლენის პრინციპი:

გამარჯვებული გამოვლინდება გათამაშების დასრულებიდან მაქსიმუმ 6 სამუშაო დღის განმავლობაში.

გამარჯვებულად დასახელდება ის ბარათი, რომელიც გათამაშების პერიოდში ყველაზე მეტ ქულას დააგროვებს. იმ შემთხვევაში, თუ ერთზე მეტი მონაწილე ბარათი დააგროვებს ერთნაირ რაოდენობის ქულებს, გამარჯვებული გამოვლინდება შემდეგი პრინციპით:

- **I პრიორიტეტი:** ბარათი, რომელსაც დაგროვებული ქულების საუკეთესო მაჩვენებელი ექნება განხორციელებული გადარიცხვებით.
- **II პრიორიტეტი:** ბარათი რომლიდანაც ყველაზე მეტი მოცულობის თანხა იქნება გადარიცხული.

ნებისმიერი სახის არაკეთილსინდისიერი ქმედების შემთხვევაში, მონაწილე ბარათის მფლობელი მოიხსნება გათამაშებიდან და ვერ მიიღებს არასამართლიანად მოგებულ პრიზს. გათამაშების წესების თანახმად, თუ გამარჯვებული ბარათების მფლობელად ფიქსირდება ერთიდაიგივე პიროვნება, გამარჯვებულად ჩაითვლება მხოლოდ ერთი ბარათი, რომელმაც დააგროვა საუკეთესო ქულა. მომდევნო საუკეთესო ქულის მქონე ბარათი, რომლის მფლობელიც არ იქნება ასევე წინა საპრიზო ადგილის გამარჯვებული ბარათის მფლობელი, დასახელდება მომდევნო რიგის გამარჯვებულად. სხვა ბანკის მიერ ემიტირებული ბარათის გამარჯვების შემთხვევაში, ბარათის მფლობელის ვინაობის დადგენისთვის საჭიროა, ბარათის მფლობელმა წარმოადგინოს ცნობა ბანკიდან, რითიც დადასტურდება, რომ იგი მოგებული ბარათის მფლობელია.

**პრიზები:**

საუკეთესო შედეგების მქონე ბარათის მფლობელები დაჯილდოვდებიან შემდეგი პრიზებით:

	პრიზები
I ადგილი	ტური კოპენჰაგენში 2 კაცზე დანია-საქართველოს საფეხბურთო მატჩზე დასასწრებად
II ადგილი	მობილური ტელეფონი Samsung Galaxy S10
III ადგილი	500 ლარის ღირებულების „AltaOk“-ს ვაუჩერი

\* I ადგილის პრიზი მოიცავს: 2 ცალ ორმხრივ ავიაბილეთს კოპენჰაგენის მიმართულებით (თბილისიდან); საფეხბურთო მატჩზე დასასწრებ 2 ბილეთს; ორ ადამიანზე სასტუმროში, ორ ადგილიან ნომერში განთავსებას, ორი ღამით; ყოველდღიურად სახარჯო თანხას 100 EUR ოდენობით.

**გათამაშების მონაწილეების რეიტინგის გამოქვეყნების პრინციპი:**

გათამაშების პერიოდში ვითიბი ბანკ ჯორჯიას ვებ-გვერდზე, ყოველდღიურად გამოქვეყნდება მონაწილეთა სია შემდეგი მონაცემებით:

1. ბარათის პირველი ციფრი და ბოლო 4 ციფრი (მაგ: 4\*\*\* \*\*\*\* \* 1234) / ბოლო 4 ციფრის დამთხვევისას, დამატებით გამოჩნდება საჭირო რაოდენობის (არაუმეტეს 10) ციფრი.
2. ბარათზე დაგროვილი ქულები, მათ შორის დამატებითი ქულები.

### გადარიცხვის ლიმიტები:

1 გადარიცხვის ლიმიტი ბარათზე	1,500 ლარი
1 დღის ლიმიტი ბარათზე	4,000 ლარი, მაქს. 4 ტრანზაქცია
1 კვირის ლიმიტი ბარათზე	15,000 ლარი, მაქს. 15 ტრანზაქცია
1 თვის ლიმიტი ბარათზე	30,000 ლარი, მაქს. 60 ტრანზაქცია

### შეზღუდვა:

გათამაშებაში მონაწილეობას ვერ მიიღებენ ვითიბი ბანკ ჯორჯიას თანამშრომლები.

### შენიშვნა:

ბანკი იტოვებს უფლებას ნებისმიერ დროს, ცალმხრივად შეიტანოს ცვლილება გათამაშების პირობებში, რისთვისაც დაუყოვნებლივ უზრუნველყოფს ცვლილებების გამოქვეყნებას, ხოლო მონაწილე ვალდებულია გაეცნოს <https://vtb.ge/ge/about-the-bank/special-offers/28/vitibis-gatamasheba-moige-sagzuri-kopenhagenshi-erovnuli-nakrebis-tamashze> ვებ გვერდზე არსებულ გათამაშების წესებს.